სსიპ შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

18/12/2025

MES 5 25 0001802480

ქ. თბილისი

ბრძანება

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებული პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებლებისათვის 2025 წლის (დეკემბრის) საგნისა და უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდების შეფასებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადის ფორმისა და მიღების ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესის“ 21-ემუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 22 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალური მასწავლებლის გამოცდის ჩატარების წესის“ 21-ემუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის N93 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებული პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებლებისათვის 2025 წლის (დეკემბრის) საგნისა და უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდების შეფასებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადები მიიღება 2025 წლის 19 დეკემბრის 10:00 საათიდან 2025 წლის 23 დეკემბრის 18:00 საათამდე ელექტრონული ფორმით ონლაინ რეჟიმში, ცენტრის ოფიციალური ვებგვერდისა www.naec.ge და ვებგვერდის online.naec.ge გამოყენებით.
2. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს საპრეტენზიო განაცხადების შევსებისათვის უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამისტს - დავით ჭანკოტაძეს საპრეტენზიო განაცხადის საფასურის მიღებისათვის უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებების გატარება.
4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება.
5. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციას ამ ბრძანების გაცნობა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამისტისთვის დავით ჭანკოტაძესათვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისათვის და მისი საჯაროდ გამოცხადების უზრუნველყოფა.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

ნინო წერეთელი
სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის
დირექტორი